

ცვლილება სესხის ხელშეკრულებაში

25/10/2017

1. www.vivus.ge-ს ვებ გვერდზე განთავსებულ ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები

1.1. შეიცვალოს ხელშეკრულების პირველი მუხლის მ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მ) სესხის გადავადება – გამსესხებლის თანხმობისა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით სესხის გადავადების საფასურისა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი თანხის გადახდის საფუძველზე მსესხებლის მიერ სესხის დაფარვის ვადის გაგრძელება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.“

1.2. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.5. მხარეები თანხმდებიან, რომ გამსესხებლის თანხმობის საფუძველზე (გადავადების დამტკიცება წარმოადგენს გამსესხებლის დისკრეციას) მსესხებელი უფლებამოსილია, სესხის გადავადების უფლება გამოიყენოს არაუმეტეს 11-ჯერ სესხის ხელშეკრულების დადებიდან 1 კალენდარული წლის განმავლობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ მსესხებელი ვერ ახერხებს სასესხო ვალდებულების სრულად შესრულებას სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, და ამ მუხლით განსაზღვრული წესით, სესხის თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის (საკომისიოს) და პირგასამტეხლოს (არსებობის შემთხვევაში) ნაწილობრივი დაფარვის საფუძველზე შეუძლია 30 დღით გააგრძელოს (გადაწიოს) სესხის დაფარვის ვადა. სესხის გადავადების მიზნით სესხის გადავადების საფასურის გადახდას და სესხის თანხის, ასევე მასზე დარიცხული პროცენტისა (საკომისიო) და პირგასამტეხლოს (არსებობის შემთხვევაში) ნაწილობრივ შემცირებისთვის საჭირო თანხას მსესხებელი გამსესხებლის ანგარიშზე რიცხავს სესხის დაფარვის თარიღის მომდევნო დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. იმ მსესხებლებთან მიმართებაში, რომლებიც სარგებლობდნენ სესხით 2017 წლის 28 თებერვლამდე, სესხის გადავადების რაოდენობის ათვლა დაიწყება 2017 წლის 25 ოქტომბრიდან.

6.5.1. იმ მსესხებლებთან მიმართებაში, რომლებიც სარგებლობენ სესხით 2017 წლის 25 ოქტომბრამდე, სესხის ნებისმიერი გადავადება ხორციელდება შემდეგი წესის დაცვით: სესხის გადავადების განხორციელებისას მსესხებელი ვალდებულია, ფიქსირებულ სესხის გადავადების საფასურთან ერთად გადაიხადოს გადავადების თარიღისთვის ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობის შესაბამისი თანხა (არსებობის შემთხვევაში), ოღონდ არაუმეტეს სესხის გადავადების თარიღისთვის სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 12%-ისა. მსესხებლის მიერ სესხის გადავადების მიზნებისთვის გადახდილი თანხა ნაწილდება შემდეგნაირად: მსესხებლის მიერ სესხის გადავადების მიზნებისთვის გადახდილი თანხიდან სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 5,7% მიემართება სესხის გადავადების საფასურის დასაფარად, ხოლო დარჩენილი თანხა მიემართება სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის, ასევე მასზე დარიცხული პროცენტის (საკომისიოს) და პირგასამტეხლოს (არსებობის შემთხვევაში) ნაწილობრივ ან სრულად

დასაფარად ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.7 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად. ამოქმედდეს პირველი დეკემბრიდან.

6.5.2. ინფორმაცია სესხის გადავადებისთვის საჭირო გადასახდელი თანხების შესახებ ყოველი კონკრეტული გადავადებისთვის ასახული იქნება გამსესხებლის ვებ გვერდზე არსებულ მსესხებლის პროფილზე და სწრაფი გადახდის აპარატებში. აღნიშნული ინფორმაცია მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი იქნება მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების შეყვანის შემდეგ.“

1.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

1.4 ცვლილება ძალაში შედის 2017 წლის 1 დეკემბრიდან. ცვლილების ვადა შესაძლოა შეიცვალოს, რის შესახებაც დამატებით ეცნობება მსესხებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული კომუნიკაციის ფორმით.